

---

## თავი - 26

---


### დაფინანსების წყაროები: გალდებულებები

#### შინაარსი

- ❖ შესავალი;
- ❖ გრძელვადიანი დაფინანსების წყაროები;
- ❖ საგალო და სხვა გრძელვადიანი გალდებულებების მახასიათებლები ;
- ❖ ობლიგაციები;
- ❖ სესხისა და საკუთარი კაპიტალის პიბრიდები;
- ❖ მოკლე და საშუალოვადიანი დაფინანსების წყაროები;
- ❖ დაფინანსება საეციალური მიზნებისათვის;
- ❖ სესხისა და კაპიტალის დაფინანსების შედარება.

## 26 . 1 . შესავალი

ამ თავში განსახილველი დაფინანსების საშუალებები შესაძლებელია **შემდეგნაირად** წარმოვადგინოთ:



უნდა გავეცნოთ თითოეულ წყაროს, პრივილეგიური აქციების გამოკლებით, რომლის ძირითადი თვისებები წინა თავში იყო აღწერილი.

## 26 . 2 . გრძელვადიანი დაფინანსების წყაროები

გრძელვადიანი სესხები (სასესხო კაპიტალი), ჩვეულებრივ, ობლიგაციის ან სავალო ვალდებულების სახით, ხშირად გამოიყენება როგორც გრძელვადიანი დაფინანსების წყარო, საკუთარი კაპიტალით დაფინანსების ნაცვლად.

სავალო ვალდებულებებით ვაჭრობა ხდება საფონდო ბირჟაზე თითქმის ისევე, როგორც აქციებით და შეიძლება იყოს:

- უზრუნველყოფილი ან არაუზრუნველყოფილი;
- გამოსყიდვადი ან არაგამოსყიდვადი.

**უზრუნველყოფილი სესხი.** სესხის უზრუნველყოფა ხდება:

- ერთი ან მეტი კონკრეტული აქტივით, ჩვეულებრივ, მიწით და შენობებით, რომელიც დაგირავებულია ფიქსირებული თანხით;
- ყველა აქტივით – მსესხებლის აქტივებზე კრედიტორის უფლებით.

ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სავალო ვალდებულების მესაკუთრეს, პროცენტის ბოლომდე მიღებამდე, შეუძლია აქტივების მართვა დაგალოს სასამართლო

აღმასრულებელს. აღტერნატივის სახით, შესაძლებელია მოხდეს აქტივების გაყიდვაც ძირითადი თანხის გადახდისათვის.

გრძელვადიანი სესხები ჩვეულებრივ იმ პირობით გაიცემა, რომ მსესხებელი ფინანსური კოეფიციენტების გარკვეულ მინიმალურ დონეს დაიჭერს (მაგალითად, ლიკვიდურობის კოეფიციენტს, ე.ი. მიმდინარე აქტივების მიმდინარე ვალდებულებებთან შეფარდება), და რომ არ მოიმოქმედებს ისეთ რამეს, რაც ნასესხები კაპიტალის დაკარგვამდე მიიყვანს. ეს მოთხოვნები დათქმულია სპეციალურ კონტრაქტში ფასიანი ქაღალდების ემიტენტის სხვა ვალდებულებებთან და მფლობელის უფლებებთან ერთად. თუ არ სრულდება კონტრაქტის ნებისმიერი მოთხოვნა, იგი ავტომატურად ითვლება დარღვეულად, და კრედიტორებს ფორმალურად უფლება აქვთ კრედიტის დაუყოვნებლივი დაფარვა მოითხოვონ, თუმცა პრაქტიკაში ისინი უფრო მმართველობით პოლიტიკაში ცვლილებებს ან სიტუაციის გამოსწორებისთვის სხვა ზომებს მოითხოვენ.

### გამოსყიდვადი და არაგამოსყიდვადი სესხი

არაგამოსყიდვადი სესხის გამოსყიდვა დაგეგმილი არაა გარკვეული თარიღისათვის; სამაგიეროდ, მასზე პროცენტის გადახდა ხდება უსასრულოდ. პრივილეგიური აქციები, ისევე როგორც ზოგირთი სავალო ვალდებულება, ხშირად არაგამოსყიდვადია.

თუკი სესხი გამოსყიდვადია, მაშინ ძირითადი თანხის გადახდა მოხდება მომავალში – წინასწარ დადგენილი გარკვეული თარიღისათვის.

მაგალითად, თუკი კომპანიას აქვს “5%-იანი 2015 სავალო ვალდებულება გამოსყიდვადი ნომინალით, კოტირებული 95 ევრო ეხ-ინტ (პროცენტის გარეშე)”, ეს აღწერს სავალო ვალდებულებას, რომელიც:

- გასცემს 5%-ს ნომინალურ ღირებულებაზე, ანუ 5 ევრო 100 ევროზე (მას ეწოდება ობლიგაციის კუპონური განაკვეთი);
- დამოისყიდება 2015 წელს;
- გამოისყიდება ნომინალური ღირებულებით ანუ თითოეული 100 ევროს ნომინალური ღირებულების ობლიგაცია გამოისყიდება 100 ევროდ.

აქვს მიმდინარე საბაზრო ფასი 95 ევრო თითოეულ 100 ევროზე, მიმდინარე წლის პროცენტის მიღების უფლების გარეშე.

### 26.3. სავალო და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებების მახასიათებლები

#### სავალო ვალდებულებები ინვესტორის თვალსაზრისით

- ვალდებულება განიხილება როგორც ნაკლებად რისკიანი:

- იგი იფარება განსაზღვრულ ვადაში და კრედიტორებს გააჩნიათ უპირატესობა პროცენტების გადახდისას და ლიკვიდაციის შემთხვევაში;
- შემოსავლები ფიქსირებულია, ასე, რომ კრედიტორი იღებს ერთსა და იმავე პროცენტებს – კომპანიის მიერ მიღებული მოგებისაგან დამოუკიდებლად.

ბ) კრედიტორები, ჩვეულებრივ, არ იღებენ ხმის უფლებას. მათ შეუძლიათ მიიღონ უფლება კომპანიის საქმიანობის კონტროლზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არ ხდება პროცენტების გადახდა.

### **სავალო ვალდებულებები კომპანიის თვალსაზრისით**

#### **ა) უპირატესობა**

- ვალი იაფიანი დაფიანსებაა, რამდენადაც ის ინვესტორისათვის ნაკლებ რისკიანია, ვიდრე სააქციო კაპიტალში მონაწილეობა. ამდენად, მისი კრედიტორები თანხმდებან მოგების ნაკლებ ნორმაზე, ვიდრე აქციონერები. ამის გარდა, პროცენტი ვალდებულებებზე შედარებით ლიბერალურად იბეგრება;
- ვალდებულების ღირებულება შემოიფარგლება შეთანხმებული პროცენტის გადახდით;
- ვალის აღებით არ ხდება კონტროლის არავითარი გაზავება.

#### **ბ) ნაკლი**

- პროცენტები გადახდილი უნდა იქნეს იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორია კომპანიის შემოსავლები, განსხვავებით დივიდენდებისგან, რომელიც კომპანიისათვის წარმატებულ პერიოდში გადაიხდება, წარუმატებელში კი – არა. პროცენტების გადაუხდელობისას ობლიგაციის მფლობელის ნდობით აღჭურვილ პირს შეუძლია დახმარებისათვის მიმართოს სასამართო აღმასრულებელს;
- აქციონერების შეშფოთებას შეიძლება იწვევდეს ის, რომ კომპანია, ყველა თავისი ვალდებულების დაფარვისას ვერ შეძლებს ერთსა და იმავე დროს გადაიხდოს დივიდენდები და სესხის %. ამიტომ მათ შეიძლება ასწიონ მათ მიერ კომპანიაზე მოთხოვნილი მოგების ნორმა – გაზრდილი რისკის საკომპენსაციოდ. მან შეიძლება შეზღუდოს ვალების ის ზომა, რომელზედაც კომპანიას ჰქონდა გაკეთებული გათვლები;
- დაფარვის ფიქსირებული ვადები მოითხოვს ვალის გადახდის განსაკუთრებულ პირობებს;
- გრძელვადიანი დავალიანება ყველა ფიქსირებულ გადახდებთან ერთად შეიძლება კომპანიას მძიმე ტვირთად დააწვეს გასტუმრებისას, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთების საერთო დაცემისას.

### **26 . 4 . ობლიგაციები**

#### **ობლიგაციები “დრმა” დისკონტით და ნულოვანი კუპონით**

**ობლიგაციები** წარმოადგენენ სავალო ვალდებულებებს გადაუხადონ მათ მფლობელს:

- 1) განსაზღვრული თანხა განსაზღვრულ ვადაში, რომელსაც დაფარვის თარიღი ეწოდება;
- 2) პროცენტები დადგენილი განაკვეთით დაფარვის ვადის დადგომამდე.

ობლიგაციები შეიძლება გამოშვებული იქნას სახელმწიფოს, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების, ბანკების და კორპორაციების მიერ. ობლიგაციებს კოტირებისას

მიეთითება პროცენტი ნომინალიდან და ჩვეულებრივ საპროცენტო განაკვეთი არ იცვლება ობლიგაციის დაფარვამდე მთელი ვადის განმავლობაში. თუმცა ეწ. პროცენტის ცვალებადი განაკვეთის მქონე ობლიგაციებისათვის იგი შეიძლება განისაზღვროს, მაგალითად, როგორც “პრამ რეიტს (სანდო მსესხებლებისათვის ამერიკის ბანკების მიერ კრედიტებზე გამოცხადებული %-ის უმცირესი ნორმა) დამატებული 1 პროცენტი”; ამგვარად, განაკვეთი ყოველწლიურად იცვლება “პრამ რეიტის” ცვლილებასთან ერთად.

ასევე შეიძლება ობლიგაციის გამოშვების დროს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისათვის დაწესდეს ზედა ზღვარი, ან ქვედა ზღვარი, ან ორივე მათვანი ერთად.

ობლიგაციას შეიძლება ქონდეს %-ის გადახდის სხვადასხვა პირობა. **მაგ:** ობლიგაცია ფიქსირებული განაკვეთით, ნიშნავს რომ პროცენტი გაიცემა წელიწადში ერთჯერ; მცოცავი განაკვეთი გულისხმობს პროცენტის გადახდას ყოველ თვეში, სამ თვეში ან ექვს თვეში ერთჯერ. არსებობს ასევე ობლიგაციები ნულოვანი კუპონით, რომელზეც არ ხდება პროცენტის გაცემა (ამ პირობას განვიხილავთ ცოტა ქვემოთ).

ჩვეულებრივი ობლიგაციების გამოშვების დროს მათი ძირითადი ღირებულება (პროცენტების გარეშე) ერთდღოულად გადაიხდება დაფარვის დადგენილ ვადაში. აუცილებელი თანხის აკუმულირებისთვის მსესხებელს (ემიტენტს) შეიძლება წაეყინოს მხოლოდ ამ მიზნისთვის განკუთვნილ სპეციალურ ანგარიშზე ფულადი სახსრების რეგულარული დეპონირების მოთხოვნა. ამგვარად იქმნება ობლიგაციების გამოსასყიდი ფონდი (ობლიგაციებზე დაგალიანების ანაზღაურების ფონდი), რომელიც ასევე გამოიყენება გამოშვებული ობლიგაციების ნაწილობრივი დაფარვისათვის, რომლებიც ამ შემთხვევაში ფასიანი ქაღალდების ბაზრიდან გამოისყიდება, ან ზოგიერთი, თავისუფლად შერჩეული, ობლიგაციების დაფარვისათვის. გამოსასყიდი ფონდები ჩვეულებრივ კონტროლდება ნდობით აღჭურვილ პირად წარმოდგენილი ბანკის მიერ, რომელიც დაფარვის ვადის დადგომამდე ინვესტირებას უკეთებს ამგვარად დაკავშირებულ სახსრებს, მათზე პროცენტის მიღების მიზნით.

სერიულად გამოშვებული ობლიგაციები ასევე ნაწილობრივი გადახდებით იფარება, ამასთან გამოშვებული თითოეული ობლიგაციის დაფარვის თარიღი მითითებულია თავად ობლიგაციაზე. ხშირად დაფარვის სხვადასხვა ვადიანი ობლიგაციები რამდენადმე განსხვავდებიან საპროცენტო განაკვეთითაც. მნიშვნელოვანი განსხვავება იმ ობლიგაციებს, რომელთათვისაც იქმნება გამოსასყიდი ფონდები და იმ ობლიგაციებს შორის, რომლებიც სერიულად გამოიშვება არის ის, რომ უკანასკნელთა მფლობელებმა ზუსტად იცის მათი დაფარვის თარიღი, მაშინ, როცა პირველი ტიპის ობლიგაციები შეიძლება დაფარული იქნას არა მხოლოდ დაფარვის ვადაში, არამედ უფრო ადრეც.

ზოგჯერ კონტრაქტი ემიტენტისათვის წინასწარ დათქმულ ფასად, ობლიგაციის ვადამდე დაფარვის შესაძლებლობას ითვალისწინებს. ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევებში კორპორაციამ მფლობელს ნომინალზე ზევით გარკვეული თანხა უნდა გადაუხადოს (პრემია).

ზოგიერთი ობლიგაცია **შეცვალა** (კონვერტირებადი), ე.ი. მფლობელის შეხედულებისამებრ შეიძლება გაიცვალოს ემიტენტის კორპორაციის ჩვეულებრივი აქციების განსაზღვრულ რაოდენობაში.

როგორც ის ობლიგაციები, რომელთათვისაც იქმნება გამოსასყიდი ფონდი, ასევე ის ობლიგაციები, რომლებიც სერიულად გამოიშვებიან, შეიძლება იყვნენ ვალამდე დაფარვადი, ან შექცევადი, ან ფლობდნენ ორივე ამ თვისებას.

როგორც გრძევადიანი სესხები, ასევე ობლიგაციებიც შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი. უზრუნველყოფილი ობლიგაციები უზრუნველყოფილია მატერიალური ქონებით ან ფასიანი ქაღადები. არაუზრუნველყოფილ ობლიგაციებს კი ძლიერი, პოპულარული კომპანიები უშვებენ.

და ბოლოს, ზოგიერთ ობლიგაციას (ასევე სწრაფ სესხებს) შეიძლება უფრო დაბალი სტატუსი ქონდეთ იმავე ემიტენტის სხვა სავალო ვალდებულებებთან შედარებით. მათზე მოთხოვნები, კომპანიის გაბანკროტების და ლიკვიდაციის შემთხვევაში, უკან იხევს სხვა ვალდებულებებზე მოთხოვნების წინაშე. თუმცა ასეთი ობლიგაციების მფლობელი-კრედიტორების სტატუსი კომპანიის აქციონერთა სტატუსზე მაღალია.

### ობლიგაციების აღრიცხვა

**ობლიგაციების გამოშვება.** წარმოვიდგინოთ, რომ კომპანია „X“ უშვებს 100 ობლიგაციას თითოეული 1,000 დოლარი ნომინალური ღირებულებით. ობლიგაციებს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი აქვთ (ან „საკუპონო“ განაკვეთი) 10%. ეს ნიშნავს, რომ ობლიგაციებზე ყოველწლიურად გადასახდელი პროცენტი შეადგენს ნომინალის 10%-ს, მოცემულ შემთხვევაში 100 დოლარს წელიწადში (პრაქტიკაში პროცენტების გადახდა ჩვეულებრივ ნახევარ წელიწადში ერთხელ ხდება, მოცემულ შემთხვევაში – 50 დოლარი ყოველ ექვს თვეში).

პოტენციური მფლობელები ობლიგაციების შეფასებას ახდენენ მათი შედარებით ალტერნატიულ კაპიტალდაბანდებასთან შესაბამისი რისკით. მაგალითად, თუ კი არის შესაძლებლობა 8%-იანი შემოსავალი მივიღოთ 1,000 დოლარიანი სახელმწიფო სერთიფიკატით, მაშინ ინვესტორი დაინტერესებული რომ იყოს იგივე ღირებულების მქონე ობლიგაციის შეძენით, მასზე პროცენტი უფრო მაღალი უნდა იყოს, ვინაიდან მეტია რისკი ვერ მიიღოს კუთვნილი პროცენტი ან ძირითადი თანხა მთლიანი მოცულობით. თუ ხდება ორი ერთნაირი რისკის მქონე ობლიგაციის ერთმანეთთან შედარება, რომელთაგან ერთზე შემოსავალი 12%-ია, მაშინ ინვესტორი არ გადაიხდის 1,000 დოლარს იმ ობლიგაციაში, რომელიც მხოლოდ 10%-იან შემოსავალს მოიტანს. მეორე მხრივ, ინვესტორი თანახმა იქნება 1,000 დოლარზე მეტი გადაიხდოს ობლიგაციაში შესაბამისი რისკით, მაგრამ 14%-იანი წლიური შემოსავლით.

**საპროცენტო განაკვეთის ოდენობაზე გადაწყვეტილების** მიღებასა და ობლიგაციების გამოშვებას შორის განსაზღვრული დრო გადის, რომლის განმავლობაშიც შეიძლება შეიცვალოს შესაბამისი რისკის მქონე ობლიგაციებზე არსებული საპროცენტო განაკვეთი. ამის გამო ობლიგაციების გამოშვება ხშირად მათ ნომინალურ ღირებულებაზე დაბალი ფასით, ე.ი. ფასდაკლებით (დისკონტით) ხდება. ეს მაშინ ხდება, როცა ბაზარზე არსებული განაკვეთი უფრო მაღალია, ვიდრე მოცემულ ობლიგაციებზე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი. ვინაიდან პროცენტებიდან მისაღები თანხა დამოკიდებულია ობლიგაციის ნომინალზე (ფიქსირებულზე) და ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე, ამიტომ საპროცენტო განაკვეთზე უფრო მაღალი შემოსავლის მისაღებად მფლობელმა

ობლიგაციებში 1,000 დოლარზე ნაკლები თანხა უნდა გადაიხადოს. მსგავსად, თუ კი ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთი მოცემულ ობლიგაციებზე ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე დაბალია, მფლობელი მათში 1,000 დოლარზე მეტს გადაიხდის. ამ შემთხვევაში ობლიგაციები ნომინალზე გადაჭარბებული ფასით გამოიშვება (პრემია).

ჩვეულებრივ პროცენტის ფიქსირებული (საკუპონი) განაკვეთი საკმაოდ ახლოა საბაზროსთან. თუმცა ბოლო წლებში ზოგიერთი კორპორაციის მიერ გამოშვებული იქნა ობლიგაციები ნულოვანი საპროცენტო განაკვეთით, ანუ ნულოვანი კუპონით. ასეთი ობლიგაციები ძალზე დიდი ფასდაკლებით გამოიშვებიან და ინვესტორი მოგებას შეძენის ფასსა და ობლიგაციის დაფარვის დროს მისთვის გადახდილ 1,000 დოლარს შორის სხვაობის სახით იღებს.

ბალანსში ობლიგაციის ნომინალზე ფასდაკლება ან გადაჭარბება ნაჩვენებია როგორც ნომინალური ღირებულებიდან პირდაპირი გამოქვითვა ან მისი გაზრდა და შედეგში აისახება საპროცენტო შემოსავლის ან ზარჯის მსგავსად.

უკუგება ინვესტორებისათვის, ძირითადად გამოიხატება ობლიგაციის გამოსყიდვის მაღალ ღირებულებაში. კომპანიისათვის აღნიშნულ ობლიგაციებში მიმზიდველია, რომ:

- ფულადი სახსრების გადინება საწყის დაფინასებაზე მცირეა;
- ობლიგაციის დისკონტირებული ელემენტი ამორტიზირდება და ექვემდებარება ყოველწლიურ შეღავათს კორპორაციულ ბეგარიდან.

ინვესტორის თვალსაზრისით არსებობს კიდევ ორი სხვა უპირატესობა:

- ნაკლებად სავარაუდოა, რომ ობლიგაცია დაფარული იქნება ვადამდე, რაც საკმაოდ ზარჯიანი იქნებოდა ფირმისათვის;
- მიუხედავად იმისა, რომ ობლიგაციის დისკონტირებული ელემენტი გადასახადების თვალსაზრისით ამორტიზირდება, ინვესტორის შემოსავლების აღნიშნულ ელემენტზე გადასახადი ჩვეულებრივ არ გადაიხდება დაფარვის ვადის დადგომამდე.

## 26.5. სესხისა და საკუთარი კაპიტალის ჰიბრიდები

კონვერტირებადი სავალო ვალდებულებები და სასესხო კაპიტალის ვარანტები წარმოადგენს სესხისა და საკუთარი კაპიტალის ჰიბრიდს და შეიცავს ორივე მათგანის ელემენტებს.

### კონვერტაციის უფლება

კონვერტაციის უფლება გამოიცემა ან კონვერტაციის კოეფიციენტის (ანუ ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა, რომელსაც 100 ევრო სესხის კონვერტაციის შედეგად მივიღებთ), ან კონვერტაციის ფასის სახით (ანუ უფლება მოვახდინოთ სესხის კონვერტაცია ჩვეულებრივ აქციაში ლარად) მაგალითად:

- “100 ლარის სესხის კონვერტაცია შესაძლოა მოხდეს 25 ჩვეულებრივ აქციად” – ნიშნავს კონვერტაციის კოეფიციენტს.
- “სესხი შესაძლოა კონვერტირებული იქნეს აქციებში 4 ლარად თითო აქცია” წარმოადგენს ეკვივალენტური კონვერტაციის ფასს.

ზოგჯერ, კონვერტაციის ფასი იზრდება კონვერტირებადობის დროს და ეს ხდება ადრეული კონვერტაციის სტიმულირებისათვის. მეორე ვარიანტია ნახევრად კონვერტირებადი სესხის გამოშვება, როდესაც სესხის მხოლოდ ნაწილის, ჩვეულებრივ, 50%-ის კონვერტაციაა შესაძლებელი. კონვერტირების უფლება, ჩვეულებრივ, რეგულირებას ახდენს კაპიტალიზაციის, უფლებების გამოშვების დროს და ა.შ. შესაძლებელია ასევე კონვერტირებადი პრივილეგიური აქციების გამოშვება.

### სავალო ვალდებულებები ვარანტით

ვარანტით სავალო ვალდებულებასა და კონვერტირებად ვალდებულებებს შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ვარანტით სავალო ვალდებულება თვითონ არ არის კონვერტირებულ აქციებში, არამედ მისი მფლობელი იზდის ნაღდ ფულს აქციების შესაძნად და ინარჩუნებს სავალო ვალდებულებას. ეს ნიშნავს, რომ სავალო ვალდებულება იარსებებს მანამ, სანამ არ მოხდება მისი განაღდება.

ვარანტს გააჩნია ღირებულება, როდესაც აქციის საბაზო ღირებულება აღემატება ვარანტში მითითებულ ღირებულებას. ვარანტი გამოიყენება სავალო ვალდებულებების “დასატკბობად”, და ფირმას საშუალებას აძლევს სესხზე დააწესოს ჩვეულებრივზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი. ფირმის ხარჯს წარმოადენს სავალო ვალდებულების მფლობელზე მიცემული უფლება – კონვერტაციის დღეს შეიძინოს აქციები, სავარაუდოდ, შემცირებულ ფასად.

კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდებისა და ვარანტის, როგორც დაფინანსების წყაროების მოზიდვა.

**გარანტი** ჩვეულებრივ ოფციონია, რომელიც არ არის დაკავშირებული რამე ფინანსურ ინსტრუმენტთან, მაშინ, როცა **კონვერტირებადი სავალო ვალდებულება** წარმოადგენს ოფციონის სავალო ვალდებულებასთან კომბინაციას.

ზოგიერთი კომპანია საოფციო მოწმობებს ობლიგაციებთან მიბმულად უშვებს და ოფციონის ფასს ჩვეულებრივი აქციის მიმდინარე საბაზო ფასზე 15-20%-ით მაღალს ადგენს. ასეთი მოწმობა ფასეულია, თუ მომავალში ინვესტორი ჩვეულებრივი აქციების საბაზო ღირებულების გაზრდას ვარაუდობს. მსგავს შემთხვევაში ინვესტორი თანახმა იქნება ობლიგაციებზე შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთის დადგენისა, რითაც ემიტენტს საშუალებას მისცემს შეამციროს ობლიგაციებზე გადასახდელი პროცენტის ხარჯები. საკუთარი ობლიგაციების მსგავს “დატკბობას” მიმართავს ზოგიერთი მცირე ფირმა, რომლისთვისაც ადვილი არ არის სხვა საშუალებებით ინვესტორების მოზიდვა.

უპირატესობა	კომენტარები
➤ დაუყონებლივი დაფინანსება დაბალი დანახარჯებით	➤ კონვერტაციაზე ოფციონის წყალობით იქმნება კრედიტების მიღების შესაძლებლობა, ჩვეულებრივზე დაბალი საპროცენტო განაკვეთებით
➤ მიმზიდველია აქციაზე ფასის დაცემის შემთხვევაში	➤ იმ შემთხვევებში, როდესაც კომპანიებს სურთ მიიღონ სახსრები აქციებზე, მაგრამ მოცემული მომენტისათვის აქციების ფასი დაბალია, კონვერტირებადი ობლიგაციები წარმოადგენს „სამარავო“ მეთოდს აქციების გამოსაშვებად.
➤ თვითლიკვიდირებადობა	➤ კრედიტების აქციებში კონვერტაციისას ვალის დაფარვის პრობლემა ქრება.
➤ კარანტინის შესრულება, დაკავშირებული აუცილებლობასთან ფინანსურ სახსრებში.	➤ ოფციონები, ჩვეულებრივ გამოიყენება აქციაზე ფასის აწევისას. თუ ოფციონი გულისხმობს კომპანიაზე დამატებითი ფულადი სახსრების გადახდას, ეს ქმნის დამატებით ფინანსებს კომპანიის გაფართოებისათვის.

### მაგალითი:

კომპანია „X“-მა 20X1/X5 წლისათვის გამოუშვა 8%-იანი არაუზრუნველყოფილი კრძელვადიანი პროცენტიანი ფასიანი ქაღალდი. ფასიან ქაღალდს ახლავს ხელის მოწერის უფლება (ვარანტი) ჩვეულებრივ აქციაზე შემდეგი პირობებით: 100 ლარის თანხის ობლიგაციების მფლობელებს შეუძლიათ ხელი მოწერონ კომპანიის 30-მდე ჩვეულებრივ აქციას თითოეულ აქციაზე 8.75 ლარი თვითლი შეიძლება გმოყენებული იქნეს ნებისმიერ დროს 20X2-დან 20X5 წლამდე.

1) კომპანია „Y“ 20X8/X9 წლისათვის გამოუშვა 7%-იანი კონვერტირებადი კრძელვადიანი პროცენტიანი ფასიანი ქაღალდები. ოფციონი კონვერტაციაზე გულისხმობს 100 ევრო თანხის ფასიანი ქაღალდის კონვერტაციას 80 ჩვეულებრივ აქციაში და შეიძლება შესრულდეს 20X1-დან 20X5 წლამდე. თუ ოფციონი არ სრულდება, მაშინ სავალო გაღდებულება გამოვლენარება დაფარვას ნომინალური ღირებულებით, დაახლოებით 20X8-სა და 20X9 წლებს შორის.

აგხსნათ ამ ფინანსური ინსტრუმენტების ბუნება და გავაკეთოთ კომენტარი იმ გადაწყვეტილებებზე, რომელიც უნდა მიიღოს ინვესტორმა.

### ამონენა:

შევნიშნოთ განსხვავება ზემოთ მოყვანილ ორ მაგალითს შორის. „X“ კომპანიის შემთხვევაში ოფციონი გამოყოფილია ფასიანი ქაღალდებისაგან, რომელიც ავრძელებს არსებობას იმისგან დამოუკიდებლად, შესრულებული იქნება თუ არა აღნიშნული ოფციონი. ამას გარდა, ოფციონის შესრულება ფული ღირს. მეორე მხრივ, „Y“ კომპანიის ვალდებულების კონვერტაცია წარმოადგენს მათ რეალურ გაცვლას ჩვეულებრივ აქციებზე და არ ხდება ფულის შემოღინება.

აუცილებლივა ასევე აღინიშნოს, რომ არსებობს აუარებელი კონვერსიული უფლებები, რომლებიც შეიცავენ, მაგალითად, კონვერტირებად პრივილეგიურ აქციებს. ჩვენთვის არ არის აუცილებელი ყველა შესაძლო ვარიანტის დამახსოვრება. „X“-ის მიერ გამოშვებული ვარანტის შესრულება მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის აქციების ფასი 8.75 ლარზე მეტი იქნება. **მაგალითად:** თუ აქციაზე ფასი გაიზრდებოდა 10 ლარამდე, მაშინ ვარანტის ღირებულება იქნებოდა:

**მიმდინარე საბაზრო ფასი, რომელიც ვარანტის მფლობელს შეუძლია იყოდოს ან გაყიდოს ფასიანი ქაღალდი = 10 ლარი – 8.75 ლარი = 1.25 ლარი.**

თუ აქციის ფასი დაუცემოდა 8.75 ლარს ქვემოთ, მაშინ ვარანტის შესრულებას აზრი აღარ ეწეოდა. ზემოთ მოყვანილი ვანგარიშება იწოდება **ვარანტის ღირებულების განსაზღვრის ფორმულად.**

თუ ვანგისი მიმდინარე კონვერტირებად ფასიან ქაღალდს, შესაძლებელია დავინახოთ, რომ კონვერტაციაზე ოფიციური შესრულებას აზრი აქვს მაშინ, როდესაც აქციის ფასი გაიზარდა შედევ მნიშვნელობაზე ზემოთ: 100 ლარს სავალო ვალდებულების ღირებულება: 80 აქცია.

თუ აქციის ფასი აჭარბებს ზემოთ აღნიშნულ სიდიდეს, აქციონერები მიიღებენ მეტი ღირებულების აქციებს, ვიდრე 100 ლარი ფასიანი ქაღალდების ღირებულებაა. თუმცა, ვარანტისგან ვანსხვავებით, აქციის ამ ფასს ქვემოთ დაცემისას, კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდის ღირებულება მაინც არ დაუცემა ნულამდე, არამედ გაანგარიშდება ფასიანი ქაღალდის საბაზრო ფასის მიხედვით, სააქციო კომპანიის უზრუნველყოფილი ჩვეულებრივი ობლიგაციების შემთხვევის მსგავსად.

**კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდის ღირებულება განისაზღვრება როგორც უდიდესი ორიდან: მისი როგორც სავალო ვალდებულების ღირებულება და მისი ღირებულება კონვერტაციისას.**

### **კონვერტისისა და ოფციონის გავლენა ერთი აქციოდან შემოსავალზე (EPS)**

შემოსავალი ერთ აქციაზე (EPS) წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის შეფასების ფართოდ გავრცელებულ ხერხს, განსაკუთრებით გრძელვადიან ჭრილში. ასევე საფონდო ბირჟის ძალზედ მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს აქციის საბაზრო ფასის შეფარდება აქციაზე წმინდა შემოსავალთან (P/E). საფონდო ბირჟაზე კოტირებული კომპანიის ფინანსური მართვის ძირითად მოზანს წარმოადგენს შემოსავლის გაზრდა ერთ აქციაზე გაანგარიშებით ზედიზედ რამდენიმე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

**შემოსავალი ერთ აქციაზე =**

**წლიური წმინდა მოგება ბუგარის, უმცირესობის წილის, გაუთვალისწინებული უხლებისა და პრივილეგიური დივიდენდების გამოკლების შემდეგ.**

**= გამოშევბული ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა**

**EPS-ის მნიშვნელიბა გაძლიერდა სტანდარტების გამოყენებით.** მისი მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ აქციის შემოსავლიანობა თვალსაჩინოდ წარმოჩინდეს კომპანიის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშგებებში, ასევე ამ მაჩვენებლის გაანგარიშების ერთიანი საფუძვლის (შესადარისობის) შექმნა როგორც სხვადასხვა, ასევე ერთი კომპანიისათვის – სხვადასხვა საანგარიშგებო პერიოდში. ეს მოიცავს “გაზავებული” **EPS-ის წარმოჩენას ყველა არსებული საკონვერტაციო და ოფციონების უფლების გათვალისწინებით.**

### **შემოსავალი ერთ აქციაზე (EPS)**

**მაგალითი:**

კომპანია “X”-ის მოგება-ზარალის ანგარიშგებას 20X2 წლისათვის შემდეგი სახე აქვს:

	ათ. ლარი
მოგება ბევრის გადახდამდე	6,000
გადასახდის ხარჯი	(1,300)
მოგება დაბეგვრის შეძლევა	4,700
მინუს: უმცირესობის წილი	(700)
მოგება ფინანსური წლისათვის	4,000
მინუს: დივიდენდები	(270)
გაუნაწილებელი მოგება	3,730
ამონაწერი საბალანსო ანგარიშგებიდან 20X2 წლის 31 დეკემბრისათვის გვიჩვენებს, რომ გამოშვებული სააქციო კაპიტალი უცვლელი დარჩა მრავალი წლის განმავლობაში. მის შესახებ გვაქვს შემდეგი მონაცემები:	
	ათ. ლარი
ლარი 1 7%-იანი პრივატური აქცია, სრულად ანაზღაურებული	1.000
ლარი 1 ჩვეულებრივი აქცია, ანაზღაურებული 0.75 ევროდ	9.000
	<u>10.000 ლარი</u>

გავიანგარიშოთ შემოსავალი ერთ აქციაზე წლის განმავლობაში

### ამონა:

წმინდა მოგება = მოგება ბევრის, უმცირესობის წილის, გაუთვალისწინებული მუხლებისა და პრივატური დივიდენდების გამოკლების შემდეგ =  $4.000 - (7\% \times 1.000) = 3.930.000$

$$\text{გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა} = \frac{9 \text{ მილიონი ლარი}}{0.75 \text{ ლარი}}$$

$$\text{ამინდა, შემოსავალი ერთ აქციაზე} = \frac{3.93 \text{ მილიონი ლარი}}{12 \text{ მილიონი აქცია}} = 32.75 \text{ P}$$

### ერთ გაზაფხულ აქციაზე შემოსავალი

სტანდარტი მოითხოვს ერთ აქციაზე საბაზისო შემოსავალს (EPS) გარდა, ასევე ერთ გაზაფხულ აქციაზე შემოსავლის EPS გახსნას. კონკრეტირებადი არაუზრუნველყოფილი ობლიგაციებისა და კონკრეტირებადი პრივატური აქციების მიმოქცევის პრინციპები ერთნაირია და ისინი ჩვენს მიერ განხილული იქნება ერთ აქციაზე გაზაფხულ შემოსავალთან ერთად.

### მაგალითი:

20X0 წლის 1 აპრილს კომპანიამ გამოუშვა 1.250.000 8%-იანი კონკრეტირებადი არაუზრუნველყოფილი ობლიგაცია ნაღდ ფულზე ნომინალური ღირებულებით. მათი ნომინალის ყოველ 100 ლარზე კონკრეტირება მოხდება 20X3/X6 წლებში ჩვეულებრივ აქციებში შეძლევი სქემის მიხედვით.

20X3 წლის 31 დეკემბერს	124 აქცია
20X4 წლის 31 დეკემბერს	124 აქცია
20X5 წლის 31 დეკემბერს	115 აქცია
20X6 წლის 31 დეკემბერს	110 აქცია

გაძოშვებული სააქციო კაპიტალი: 500.000 ლარი 10%-იან პრივილეგიურ აქციებში 1 ლარად; 1.000.000 ლარი ჩუკულებრივ აქციებში 0.25 ლარი = 4.000.000 აქცია. კორპორაციული ბეჭარა 45%-ია.

ვაჭრობის წლიური შეჯებების რომელიც 31 დეკემბერს მთავრდება:

	20X2	20X1
	ლარი	ლარი
მოგება პროცენტებისა და ბევარის გადახდამდე	1.100.000	991.818
პროცენტი 8%-იან კონვერტირებად		
არაუზრუნველყოფილ ობლიგაციაზე	100.000	75.000
მოგება ბევარის გადახდამდე	1.000.000	916.818
ბევარა კორპორაციის მოგებაზე	450.000	412.568
მოგება დაბეგვრის შემდეგ	550.000	504.250

გავიანგარიშოთ (1) საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე და (2) გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე.

#### ამონა:

	20X2	20X1
	ლარი	ლარი
(1) საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე		
მოგება ბევარის გადახდის შემდეგ	550.000	504.250
მინუს პრივილეგიურებული დივიდენდები	50.000	50.000
შემოსავალი	500.000	454.250
შემოსავალი ერთ აქციაზე <b>4.000.000</b>		
აქციაზე გაანგარიშებით	0.125	0.114

(2) შემოსავალი ერთ გაზავებულ აქციაზე

	20X2
	ლარი
შემოსავალი როგორც ზემოთ იყო	500.000
პლუს: პროცენტი კონვერტირებად	
არაუზრუნველ ყოფილ ობლიგაციაზე	100.000
მინუს: ბევარა კორპორაციის მოგებაზე	45.000
	55.000
კორუქტირებული შემოსავალი	555.000
შემოსავალი ერთ აქციაზე <b>5.550.000</b> აქციაზე	0.10

## შენიშვნა:

20X2 წლამდე აქციების მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც გამოშვებას ექვემდებარება ფინანსური წლის დამთავრების შემდეგ, იქნება 124 აქცია ყოველ 100 უკრო, კურძოდ 1.550.000 აქცია, რაც ჯამში 5.550.000 იქნება.

## 26 . 6 . მოკლე და საშუალოვადიანი დაფინანსების წყაროები

საშუალო და მოკლევადიანი დაფინანსების არსები წარმოადგენს ის, რომ ფინანსების მოზიდვა ხდება ისეთი სპეციალური მიმდინარე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომელსაც არ ექნება მუდმივი ხასიათი.

### ფინანსური მოთხოვნის განსაზღვრა

თუკი ბიზნესი არ განიცდის მუდმივ სირთულეებს, ფინანსები, ნაღდი ფულის შემოდინებასა და გადინებას შორის არებსული დეფიციტური შუალედის შესავსებად, მხოლოდ გარკვეული მცირე პერიოდისათვის უნდა გახდეს საჭირო. მაგალითად, გაყიდვების ზრდამ შეიძლება მოითხოვოს ფონდების შემოდინება გაზრდილი სამუშაო კაპიტალის დასაფინანსებლად, სანამ ზრდის შედეგად არ მოხდება საჭირო რაოდენობის ნაღდი ფულის დაგროვება. ასევე, დაბალი აქტივების სეზონურმა პერიოდმა შეიძლება დაბადოს მოთხოვნა მოკლევადიან სესხზე – გარდაუვალი ფიქსირებული ხარჯების დასაფარავად.

ამიტომ, დაფინანსების ხელმისაწვდომი წყაროების განხილვისას, იბადება ორი კითხვა

- რა მიზნით გვჭირდება ფონდები?
- რა ხნით გაგრძელდება მოთხოვნა?

საშუალო და მოკლევადიანი დაფინანსების ყველაზე გავრცელებული წყაროებია:

- ლიზინგი
- საბანკო დაფინანსება – სესხები და ოვერდრაფტები
- სავაჭრო კრედიტი
- დებიტორული დაფინანსება – ფაქტორინგი და ანგარიშ-ფაქტურის დიკონტირება.

საბანკო დაფინანსება განხილული იქნება, როგორც ნაღდი ფულის მართვის ნაწილ; სავაჭრო კრედიტის, ვალის ფაქტორინგისა და ანგარიშ-ფაქტურის დისკონტირების – როგორც დაფინანსების წყაროების – გამოყენება. ამ ეტაპზე განვიხილოთ ლიზინგი.

### ლიზინგი

ლიზინგის პოპულარობამ უკანასკნელ წლებში დიდი აღმავლობა განიცადა და დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროდ იქცა.

არსებობს ლიზინგის მრავალი ტიპი. ლიზინგი გამოსყიდვის უფლებით წარმოადგენს განვადებით შესყიდვის თანამედროვე ეკვივალენტს.

ლიზინგი წარმოადგენს კაპიტალური აღჭურვილობის დაფინანსების საშუალებას, რომლის დროსაც ძირითად პრინციპს წარმოადგენს ის, რომ სარგებლობა მნიშვნელოვანია

საკუთრებაზე. ესაა საშუალოვადიანი ფინანსური შეთანხმება, ჩვეულებრივ, ერთიდან ათ წლამდე.

## 26.7. დაფინანსება სპეციალური მიზნებისათვის

**მცირე ბიზნესის სახელმწიფო ხელშეწყობა.** მთავრობა მცირე ბიზნესს სთავაზობს ხელშეწყობას სხვადასხვა ბიზნეს საქმიანობაში, ამაში შედის: ფინანსების მოზიდვა, სიახლეების დანერგვა, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ექსპორტი და სწავლება კვალიფიკაციის ამაღლება. სახელმწიფოს ფინანსური დახმარება გამოიხატება სესხები გარანტიების (თავდებობის), გრანტების და სესხების სახით.

**ბიზნეს კავშირები.** ბიზნესზე მხარდაჭერის სერვისი შეთავაზებას კოორდინაციას უწევს ბიზნეს კავშირები, რომლებიც წარმოადგენ ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომლებიც თავს უყრიან ვაჭრობისა და მრეწველობის დებარტამენტის სასწავლო და საწარმოო საბჭოს, სავაჭრო პალატის, სამრეწველო სააგენტოს, მუნიციპალური დაწესებულებებისა და სხვა ადგილობრივი ორგანოების მიერ შეთავაზებულ მომსახურებას.

**მცირე ფორმებისათვის სესხის გარანტად დადგომის პროცერამა.** აღნიშნული პროგრამა იძლევა სახელმწიფო გარანტიას სესხებზე, რომელსაც გასცემენ სერტიფიცირებული გამსესხებლები. როგორიცაა ბანკები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები. სესხები გაიცემა ფირმებზე, რომლებსაც არ შეუძლიათ საკმარისი ფინანსების მოპოვება არასაკმარისი სამუშაო გამოცდილების ან გარანტის უგმარისობის გამო. ამ პროცესის ნიუანსებია.

**რეგიონალური შერჩევით დახმარება.** ეს არის კერძო მოსაზრებაზე დამყარებული პროგრამა, რომელიც გამოიყენება სუბსიდირებულ რაიონებში. გრანტების საშუალებით იგი ახდენს ფირმების ამ რაიონებში დაფუძნების ან გაფართოების მოტივაციას. პროექტმა ან უნდა შექმნას ახალი სამუშაო ადგილები, ან უნდა უზრუნველყოს უკვე არსებულის შენარჩუნება.

## 26.8. სესხისა და კაპიტალის დაფინანსების შედარება

კაპიტალის სტრუქტურის ანალიზის დროს ხშირად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინვესტირებული (ან მუდმივი) კაპიტალის წყაროებს: ნასესხები კაპიტალი (გრძელვადიანი ვალდებულება) და სააქციო კაპიტალი (საკუთარი კაპიტალი). კომპანიის თვალსაზრისით ნასესხები კაპიტალი გარკვეულ რისკს შეიცავს, ვინაიდან ობლიგაციების მფლობელებს და სხვა კრედიტორებს, ვალების არათავისდროული გადახდების შემთხვევაში, შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს. სააქციო კაპიტალი დაკავშირებულია უფრო მცირე რისკთან, რადგან დივიდენდების განაწილება მხოლოდ დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით ხორციელდება, და აქციის მფლობელებს თავიანთი მოქმედებით არ შეუძლიათ კომპანია გაკოტრებამდე მიიყვანონ. რამდენადაც აქციონერებისთვის დივიდენდების მიღება ნაკლებად გარანტირებულია, ვიდრე ობლიგაციების მფლობელების მიერ პროცენტების მიღების პერსპექტივები, ინვესტორები, ჩვეულებრივ, არ ყოდელობენ აქციებს, თუ კი არა აქვთ იმის საკმაო საფუძველი, რომ ჩათვალონ – მათზე შემოსავალი (დივიდენდებს დამატებული აქციების ფასების მატება) უფრო მაღალი იქნება, ვიდრე შემოსავალი ობლიგაციებიდან.

ნასესხები კაპიტალის შედარებით დაბალი ღირებულება განპირობებულია არა მხოლოდ იმით, რომ ინვესტორებს ურჩევნიათ ობლიგაციებიდან უფრო დაბალი შემოსავლების მიღებას დათანხმდნენ, ვიდრე აქციებიდან, არამედ იმითაც, რომ ნასესხებ კაპიტალზე გადახდილი პროცენტები (ობლიგაციებზე გადახდილი პროცენტების ჩათვლით) შედარებით ლიბერალურად იბეგრება დივიდენდებისაგან განსხვავებით.

ნასესხები კაპიტალის დამოკიდებულება საკუთარ კაპიტალთან ხსნის კომპანიის პოლიტიკას, რომელიც რისკსა და ღირებულებას შორის ბალანსირებს. ეს ურთიერთდამოკიდებულება აღინიშნება ტერმინით – “ლევერეჯი”. “მაღალი ლევერეჯი” ნიშნავს, რომ ნასესხები კაპიტალის წილი უფრო მაღალია და პირიქით. ზემოთ მოყვანილი მაგალითისთვის ნასესხები კაპიტალის დამოკიდებულება საკუთართან, მიმდინარე ვალდებულებების ჩართვით, შემდეგნაირად გამოითვლება:

### ვალდებულებების საერთო თანხა

#### საჯურო კაპიტალი

კომპანიის ფინანსური მდგრადობის კიდევ ერთი მაჩვენებელია – პროცენტებზე გადახდების უზრუნველყოფის ხარისხი, რომელიც გამოითვლება როგორც კომპანიის მოგების შეფარდება გადახდილი პროცენტების თანხასთან. ამ შეფარდებაში მრიცხველს წარმოადგენს კომპანიის მოგება დაბევრამდე და პროცენტების გადახდამდე. პროცენტებზე გადახდის უზრუნველყოფის ხარისხი შემდეგნაირად გამოითვლება:

#### მოგება პროცენტების გადახდამდე

#### ხარჯები პროცენტებზე

#### ძაგლითი:

პირველ წელს ორი კომპანიდან თითოეულმა მიღო 100 ლარი ოდენობის მოგება პროცენტის გადახდამდე, მაგრამ პროცენტი ერთმა გადაიხადა 10 ლარი, მეორემ 40 ლარი. (ანუ შესაბამისად გააჩნიათ სარგებელი/პროცენტის ლევერეჯი 10% და 40%):

#### 1-ლი წელი

	კომპანია A	კომპანია B
მოგება პროცენტის გადახდამდე	100	100
პროცენტი	10	40
მოგება დაბევრამდე	90	60

მეორე წელს, საპროცენტო გადასახდელი იყო იგივე, მაგრამ მოგება პროცენტის გადახდამდე განახევრდა და განდა 50 უკრო:

#### 2-ლი წელი

	კომპანია A	კომპანია B
მოგება პროცენტის გადახდამდე	50	50
პროცენტი	10	40
მოგება დაბევრამდე	40	10

პროცენტის ლუგერიჯის რისკი ნათლად ჩანს: კომპანია A-ს, ნაკლები 10%-იანი პროცენტის ლუგერიჯით, მოგების 50%-ით შემცირება იწვევს დაბეგვრამდელი მოგების 56%-იან შემცირებას; მაშინ, როცა კომპანია B-ზი, რომელსაც გაცილებით მაღალი პროცენტის ლუგერიჯი (40%) აქვს, დაბეგვრამდელი მოგების შემცირება არის 83%.

იგივე ეფექტი იქნებოდა სავაჭრო მოგების ცვლილების ნაცვლად, საპროცენტო გადასახდელი რომ გაზრდილიყო, ზოგადად საპროცენტო განაკვეთი ზრდის გამო.

აქედან გამომდინარე, უფრო მაღალი პროცენტის ლუგერიჯი იწვევს პროცენტის გადახდის შემდგომი მოგების უფრო მეტ არამდგრადობას. უფრო მაღალმა პროცენტის ლუგერიჯმა შეიძლება გამოიწვიოს აქციონერთა ნაკლები კმაყოფილება (და როგორც შესაძლო შედეგი – შემცირებული აქციის ფასი) და ბიზნესის რისკის ზრდა. ეს თავისთავად არ გულისხმობს, რომ არსებობს ზღვარი სესხის ტევადობისა, მაგრამ დიდი სესხით გამოწვეული პროცენტის ლუგერიჯის დონეზე შეიძლება შექმნას ისეთი სიტუაცია, როდესაც მმართველობა გადაწყვეტს დამატებითი სესხების აღების შეზღუდვას ან შემცირებას.